

## 1. ანგარიშის გახსნის და მართვის გამოყენების ზოგადი წესები

### ანგარიშის შექმნა

მომხმარებლის („თქვენ“ ან „თქვენს“) მიერ Visa Authenticated მარკეტინგულ პორტალზე („ვებ-გვერდ“ ან „პროგრამა“) ანგარიშის შექმნა უფასოა (ინტერნეტის კავშირის ხარჯების გარდა) და რეზერვირებულია ვიზას ბარათის ყველა მფლობელისთვის (შემდგომში „ანგარიში“). აღნიშნული შესაძლოა სავალდებულო იყოს ვებ-გვერდზე აღწერილ მომსახურებებზე დაშვების მისაღებად. ანგარიშის შექმნის მიზნით დააწკაპუნეთ ღილაკზე „პროფილის შექმნა“, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე და შეავსეთ სარეგისტრაციო გვერდზე მოთხოვნილი ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს:

- თქვენ უნდა შეიყვანოთ გვარი და სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, შტატი ან ოლქი.
- შეგიძლიათ შეიყვანოთ თქვენი ტელეფონის ნომერი, ინფორმაცია ძირითადი ანგარიშის შესახებ ან თქვენს მიერ შერჩეული ვიზა ბარათის („შესაბამისი ბარათი“) **“PAN”** (ვიზა ბარათის 16 ციფრიანი ნომერი, რომელიც წარმოდგენილია ვიზა ბარათის უკანა გვერდზე).
- შესაძლოა მოგეთხოვოთ PAN-ის შეყვანა იმ კამპანიაში ან აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც პრერეკვიზიტის სახით საჭიროებს PAN ნომერს.
- სარეგისტრაციო პროცედურის დასასრულებლად შეარჩიეთ და დაადასტუროთ პაროლი.
- პერსონალიზებული ინფორმაციის მიღებისა და კომუნიკაციის მიზნით შეარჩიეთ ინტერესების სფერო.
- აუცილებლად დაეთანხმეთ ვიზა-ს გამოყენების პირობებსა და [კონფიდენციალურობის საყოველთაო წესებს](#).

თქვენს მიერ ანგარიშის რეგისტრაცია დადასტურდება თქვენს მიერ დასაწყისში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ვიზა-ს მიერ გამოგზავნილ ბმულზე დაწკაპუნებისთანავე. თქვენი ანგარიში პერსონალურია. თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ თქვენი პაროლის უსაფრთხოება და გამოიყენოთ იგი თქვენი მომხმარებლის სახელით და პაროლით განსახორციელებელი მოქმედებებისთვის. დაცვის მიზნით Visa Authenticated მარკეტინგულ პორტალზე აირჩიეთ უნიკალური პაროლი, დაიმახსოვრეთ თქვენი მომხმარებლის სახელი და პაროლი და ნუ ჩაიწერთ აღნიშნულ მონაცემებს Visa Authenticated მარკეტინგულ პორტალზე დასაშვებად გამოყენებულ პერსონალურ კომპიუტერში, ტაბლეტში, მობილურ ან სხვა მოწყობილობაზე. თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ მომხმარებლის სახელის და პაროლ(ებ)ის კონფიდენციალურობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ შერჩეულ პაროლს დაიმახსოვრებთ თქვენს მოწყობილობაზე / მოწყობილობებზე ან ბრაუზერში, თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ აღნიშნული მოწყობილობების უსაფრთხოება. აუცილებელია ზემოაღნიშნულის განხორციელება, ვინაიდან ჩვენ არ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას თქვენი ბარათის არასანქცირებული გამოყენებით მიღებულ ზარალთან დაკავშირებით და ვითარებიდან გამომდინარე, თქვენი ბანკი-ემიტენტი უფლებამოსილია დაგაკისროთ პასუხისმგებლობა

თქვენი საბარათე ანგარიშის არასანქცირებულ გამოყენებასთან დაკავშირებით. თქვენ აცხადებთ თანხმობას, რომ დაუყოვნებლივ აცნობებთ ვიზა-ს მომხმარებლის სახელის, პაროლის, ან ბარათის, თუ ასეთი გათვალისწინებულია, არასანქცირებული გამოყენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ვიზა-ს თვალსაზრისით თქვენი პაროლი აღარ არის უსაფრთხო, იგი ინარჩუნებს პაროლის შეცვლის მოთხოვნის უფლებას.

თუ თქვენ გადაწყვეტთ ბარათ(ებ)ის დარეგისტრირებას, თქვენ აცხადებთ თანხმობას ზუსტი, სწორი, მოქმედი და სრული მონაცემების, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაციის ცვლილებისას, განახლებული მონაცემების წარმოდგენასთან დაკავშირებით. მარეგულირებელი კანონით დაშვებულ ფარგლებში, თქვენ ეთანხმებით და აღიარებთ, რომ ვიზა-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თქვენს მიერ ვიზა-სთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ვიზა-ს გააჩნია რეალური საფუძველი იმისა, რომ ივარაუდოს თქვენს მიერ არასწორი, არაზუსტი ან არასრული ინფორმაციის წარმოდგენა, იგი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს თქვენი რეგისტრაცია და უარი განაცხადოს თქვენს მიერ ვიზა-ს ნებისმიერი ან ყველა მომსახურების (ან აღნიშნულის ნაწილის) მიმდინარე ან სამომავლო გამოყენებაზე.

ანგარიშზე საჯარო კომპიუტერით წვდომის შემთხვევაში, კომპიუტერის დატოვებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სესია დახურულია. აგრეთვე რეომენდირებულია პაროლის რეგულარულად შეცვლა.

### **ანგარიშის მართვა**

შემდეგი ინფორმაციის შეცვლა მომხმარებლის პროფილზე შესაძლებელია ნებისმიერ დროს:

- თქვენი პერსონალური ინფორმაციის განახლება
- პაროლის შეცვლა
- ბარათის შესახებ ინფორმაციის შესწორება ან წაშლა
- ინტერესის სფეროების შესწორება
- ანგარიშის წაშლა
- საკომუნიკაციო უპირატესობების შეცვლა.

ანგარიშის დეაქტივაცია შესაძლებელია პირდაპირ პროფილიდან ნებისმიერ დროს.

გამოყენების პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ იქნა გამოსწორებული აღნიშნულთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინების გაგზავნიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში, ვიზა უფლებამოსილია გააუქმოს თქვენი ანგარიში იმ პირობით, რომ თუ ვიზა საფუძვლიანად ვარაუდობს, რომ თქვენი ანგარიშის გამოყენების შედეგად ირღვევა ვიზა-ს მიერ გამოყენებული კანონი, დებულება ან წესები, იგი შეინარჩუნებს თქვენი ანგარიშის დაუყოვნებლივ შეჩერების ან შეწყვეტის უფლებას. თქვენი ანგარიშის შეჩერების ან დეაქტივაციის შესახებ გეცნობებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

თქვენ ადასტურებთ, რომ (ა)ასაკის, ვინაობის და საკონტაქტო დეტალების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია, აქტუალურია და სრულია; (ბ) თქვენ წარმოადგენთ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს მითითებული ელექტრონული მისამართის მფლობელს და რომ აღნიშნული მისამართი მოქმედია და გამოიყენება რეგულარულად; და (გ) გარკვეული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, თქვენ შეძლებისდაგვარად სწრაფად განაახლებთ მას ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით.

თქვენ აღიარებთ, რომ სარეგისტრაციო პირობების შეუსრულებლობის, კერძოდ კი „ყალბი ან გამოგონილი, არასრული, არაზუსტი და განუახლებელი მონაცემების წარმოდგენის“ შემთხვევაში ვიზა ინარჩუნებს ვებ-გვერდზე დაშვების და მომსახურებებით სარგებლობის შესაძლებლობის შეწყვეტის უფლებას.

ვიზა-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თქვენს მიერ ვიზა-სთვის ინფორმაციის შეცდომით, დაუდევრობით ან არასრულად წარდგენის შემთხვევაში. თქვენ გეკისრებათ ერთპიროვნული პასუხისმგებლობა თქვენი ელექტრონული ფოსტის ან ანგარიშის გამოყენებასთან და ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით. დაუყოვნებლივ აცნობეთ ვიზა-ს თქვენი ანგარიშის არასანქცირებული გამოყენების ან კონფიდენციალურობის და მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ.

#### **დაშვების შეთავაზება და სხვა უპირატესობები:**

თავი მოგენიჭებათ დაშვება ვიზა-ს შემოთავაზებებზე და ლოიალურობის პროგრამის შესახებ ინფორმაციაზე შემოთავაზების მოქმედების პერიოდის განმავლობაში. ცალკეული შემოთავაზების, ბენეფიტით ან პროგრამით სარგებლობა რეგულირდება ამ ცალკეული შემოთავაზებისთვის, ბენეფიტისთვის ან პროგრამისთვის გამოქვეყნებული პირობების შესაბამისად.

#### **მონაცემთა გამოყენების ენა**

ადგილობრივ პროგრამასთან დაკავშირებული გამოყენების პირობები შედგენილი იქნება ადგილობრივი იურისტის მიერ. ქვემოთ მითითებული ენა შემოიფარგლება პერსონალიზებული შემოთავაზებებისთვის და პერსონალიზებული ციფრული რეკლამისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებით (ელ-ფოსტის / მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით) და დაემატება გამოყენების ადგილობრივ პირობებს ყოვლისმომცველი დოკუმენტის შექმნის მიზნებისათვის.

#### **ბარათის ინფორმაციის გამოყენება პერსონალიზებული შემოთავაზებებისთვის და პერსონალიზებული ციფრული რეკლამისთვის**

თქვენს მიერ ძირითადი ანგარიშის შესახებ ინფორმაციის ან ვიზა დებიტის ან საკრედიტო ბარათის „PAN“ წარმოდგენისას, თქვენ ნებას რთავთ Visa Inc.-ს („ვიზა“) უსაფრთხოდ აკონტროლოს თქვენს მიერ წარმოდგენილი PAN-ის ტრანზაქციების მონაცემები (რაც ცნობილია როგორც თქვენი „ბარათის ტრანზაქციების მონაცემები“) და დააკავშიროს აღნიშნული თქვენს ელექტრონულ ფოსტასთან და თქვენს მიერ წარმოდგენილ ისეთ

პერსონალურ ინფორმაციასთან, როგორცაა თქვენი სახელი. აღნიშნული მონაცემები დაცულია და არასოდეს გადაეცემა მესამე მხარეს.

## **კონფიდენციალურობა**

პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ექვემდებარება ვიზა-ს [კონფიდენციალურობის საყოველთაო წესებს](#).

პროგრამის ნაწილის სახით, ინფორმაცია ტრანზაქციების შესახებ გაზიარებული იქნება სავაჭრო ემიტენტებს და ვიზა-ს (და/ან მათი მომსახურებების მიმწოდებლებს) შორის, რათა მოხდეს განცხადების დამუშავება და თქვენთვის პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დამატებით, გარკვეული ინფორმაცია თქვენი დაწკაპუნებების აქტივობების და დამატებითი ტრანზაქციების შესახებ შესაძლოა გაზიარებული იქნას მოვაჭრეს, თქვენს ემიტენტსა და ვიზა-ს შორის დაჯგუფებულ (პირადობის იდენტიფიცირების გარეშე) ან პირადობის იდენტიფიცირების საფუძველზე და აღნიშნული სახის ინფორმაცია დაექვემდებარება თითოეული მხარის კონფიდენციალურობის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკას.

## **აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება ვიზა-ს მიერ**

### **1. პერსონალიზებული შემოთავაზებები**

პერსონალიზებულ შემოთავაზებებზე თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ვიზა-ს შეუძლია წარმოგიდგინოთ თქვენი სატრანზაქციო აქტივობების მიხედვით განსაზღვრულ ქმედებებზე მორგებული შესაბამისი შეტყობინება და შინაარსი. საბარათო ტრანზაქციების მიხედვით ვიზა დროთა განმავლობაში განსაზღვრავს თქვენს ინტერესებს. აღნიშნულის მიზანია ჩვენგან მიღებული ისეთი ინფორმაციის მნიშვნელობის გაზრდა, როგორცაა შემოთავაზება, ბენეფიტები, განახლებული პროდუქტები და დასკონსორებული კონტენტი (ან „პერსონალიზებული შემოთავაზებები“). პერსონალიზებული შემოთავაზებები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე [visa.com](#) ან ელექტრონული ფოსტის / მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ჩართული გაქვთ აღნიშნული საკომუნიკაციო არხები.

### **2. პერსონალიზებული ციფრული რეკლამა**

პერსონალიზებული ციფრული რეკლამის გამოწერის შემთხვევაში, ვიზა-ს შეუძლია წარმოგიდგინოთ შესაბამისი რეკლამა და თქვენს ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული კონტენტი. საბარათო ტრანზაქციების მონაცემების მიხედვით ვიზა დროთა განმავლობაში განსაზღვრავს თქვენს ინტერესებსა და საჭიროებებს. ვიზი-ს მიერ აღნიშნული ხორციელდება მესამე მხარის ვებ-გვერდებისა და აპლიკაციების მეშვეობით წარმოდგენილი ვიზა-ს რეკლამების რელევანტურობის გაზრდის მიზნით. ციფრული რეკლამის პერსონალიზების მიზნებისათვის ვიზა თქვენს იდენტიფიკატორებს (როგორცაა ელექტრონული ფოსტის მისამართი) გაუზიარებს სხვებს, მათ შორის:

- *მესამე მხარეები*, როგორცაა რეკლამის დაკვეთი, გამომცემელი, სოციალური მედიის ქსელი, საძიებო სისტემები და სარეკლამო კომპანია, რომლებიც უზრუნველყოფენ ვებ-გვერდებზე და აპლიკაციებზე რეკლამის განთავსებას და აფასებენ რეკლამის ეფექტურობას. მათ მიერ შეგროვებული ინფორმაცია არ ახდენს თქვენს იდენტიფიცირებას გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენ აღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაცია და თანხმობა მინიჭებული გაქვთ ამგვარი მესამე მხარისთვის. განსაზღვრულ რეკლამაზე თქვენი დაწკაპუნებების საფუძველზე მესამე მხარეებმა შესაძლოა განსაზღვრონ თქვენი კუთვნილება გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებაში.
- *ბიზნეს პარტნიორები*, მოკვლევის განსახორციელებლად, მონაცემების და მოქმედებების ანალიზის მიზნებისათვის.
- *სერვის პროვაიდერები*, რომლებიც აწარმოებენ საქმიანობას ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე.

თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გააუქმოთ რეკლამის გამოწერა, მესამე მხარეებისათვის გაზიარებული იდენტიფიკატორების ჩათვლით, რისთვისაც თქვენთვის შესაბამის დროს უნდა ეწვიოთ თქვენს პროფილს ვებ-გვერდზე [visa.com](http://visa.com) და გააუქმოთ მონიშვნა „პერსონალიზებულ ციფრულ რეკლამაზე რეგისტრაციასთან“ დაკავშირებით. ნებისმიერი და ყველა თქვენი პირადი ინფორმაცია დამუშავებული იქნება ვიზა-ს [საყოველთაო კონფიდენციალობის წესების](#) შესაბამისად.

### **უარყოფა და შეზღუდვები**

ვიზა-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა პერსონალიზებულ შემოთავაზებებთან დაკავშირებული საკითხებისა და დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. თქვენზე შესაძლოა გავრცელდეს დამატებითი პირობები და ვადები, გარანტიები ან მოვაჭრის, პროდუქტის მწარმოებლის ან სერვის პროვაიდერის სხვა მოთხოვნები. ვიზა უარს აცხადებს ყველა გამოცხადებულ თუ ნაგულისხმებ განაცხადზე თუ გარანტიაზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ხარისხთან, ვარგისიანობასთან, სავაჭრო მდგომარეობასთან, ცალკეულ მიზანთან შესაბამისობასთან ან პროგრამასთან, პერსონალიზებულ შემოთავაზებასთან და მოვაჭრის მიერ პროგრამასთან დაკავშირებით გაყიდულ ნებისმიერ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებულ განცხადებას.

დელიქტური კონტრაქტის ობიექტური პასუხისმგებლობის თეორიის ან სხვა სამართლებრივი თეორიის საფუძველზე ვიზა, მისი შვილობილი კომპანიები, ან რომელიმე დირექტორი, ოფიცერი, თანამშრომელი, აგენტი ან ქვეკონტრაქტორი (ერთობლივად მოხსენებული როგორც „ვიზა-ს მხარეები“) არცერთ შემთხვევაში არ კისრულობენ პასუხისმგებლობას დაკარგულ მოგებასთან, დაკარგულ შემოსავლებთან, დაკარგულ ბიზნეს შესაძლებლობებთან, საჯარიმო, სადამსჯელო, სპეციალურ, შემთხვევით, პირდაპირ ან შედეგობრივ ზარალთან დაკავშირებით, რომელთაგანაც თითოეული მათგანი გამოირიცხება მხარეების ხელშეკრულებით, მიუხედავად იმისა გათვალისწინებული იყო თუ არა ამგვარი ზარალი ან ეცნობა თუ არა რომელიმე მხარეს ან უწყებას ამგვარი ზარალის შესაძლებლობის შესახებ. ვიზა-ს მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა პიროვნებისთვის ან ქონებისთვის მიყენებულ იმ ზარალთან, ზიანთან ან დანაკარგთან, ასევე დანახარჯებთან, უბედურ

შემთხვევასთან ან დაბრკოლებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება პროგრამაში თქვენს მონაწილეობას.

ვიზა-ს მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის შეცდომასთან, დარღვევასთან ან პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ადამიანის, მექანიკური, ტიპოგრაფიული ბეჭდვის, ქსელის თუ ელექტრონული შეცდომით, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება პროგრამას და რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს შეცდომებს, დარღვევებს ან პრობლემებს, რომელიც შესაძლოა დადგეს პროგრამის ადმინისტრირებასთან, პერსონალიზებული შემოთავაზების დამუშავებასთან ან პრეზენტაციასთან დაკავშირებით.

პროგრამაში რეგისტრაციით თქვენ (ა) თანხმობას აცხადებთ, რომ გაათავისუფლებთ და დაიცავთ ვიზა-ს მხარეებს ზარალთან, ვალდებულებებთან, ზიანთან და დანახარჯებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას პროგრამაში თქვენი მონაწილეობის შედეგად და რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერ დაზიანებას დაკავშირებულს პერსონალიზებული შემოთავაზების მეშვეობით გამოყენებულ პროდუქტთან ან მომსახურებასთან; და (ბ) გაათავისუფლებთ ვიზა-ს მხარეებს სარჩელთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან ან ზარალისგან, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს პროგრამას ან რომელიმე პერსონალიზებული შემოთავაზების გამოყენებას.

პროგრამა და/ან პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული რომელიმე პერსონალიზებული შემოთავაზება განიხილება ძალადაკარგულად თუ აღნიშნული აკრძალულია მარეგულირებელი კანონით. მიუხედავად წინამდებარე პირობებისა, ვიზა-ს და პროგრამის სერვისის პროვაიდერებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა თქვენს წინაშე პროგრამასთან დაკავშირებით.

*ვიზა წარმოადგენს ვიზა ინტერნაციონალ სერვისე ასოციეიშენის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს.*